ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 18 დეკემბრის სხდომის

ოქმი #13

2020 წლის 18 დეკემბერს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 25.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებატა ფაკულტეტის ბიუჯეტის შესახებ;
2. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. განსახილველი ბიუჯეტი წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.ელიზბარაშვილმა. მან აღნიშნა, რომ წელს გეოგრაფიის დეპარტამენტის მაგისტრანტებისთვის ჰქონდათ ინტერდისციპლინური საველე პრაქტიკები, რაც ფინანსდებოდა ვენის უნივერსიტეტის მიერ, პროექტის ფარგლებში. ამჟამად ეს პროქტი დასრულებულია. ბ-ნი ნოდარი დაინტერესდა თუ შეიძლება, რომ გარკვეული თანხა გათვალისწინებულ იქნას ამ პრაქტიკებისათვის, რაზეც ბატონი რამაზ ხომერიკი დათანხმდა. გარდა ამისა, პროფესორმა დ.ძიძიგურმა ითხოვა ავეჯის განახლება ბიოლოგიის დეპარტამენტის გარემონტებული ოთახებისათვის. ბატონმა რამაზმა დახმარება აღუთქვა ქალბატონ დიანას და აღნიშნა, რომ ავეჯის შეძენა ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის და გეოგრაფიის დეპარტამენტებისთვის განზრახულია სან-დიეგო საქართველოს მიერ გადმორიცხული ფაკულტეტის საკომპენსაციო ხარჯებიდან 500 ათასი ლარის ოდენობით, მორჩენილი თანხით შესაძლებელია დაფინანსდეს პროფესორ ბეჟან თუთბერიძეს მოთხოვნაც გეოლოგიის დეპარტამენტის ინვენტარისათვის. პროფესორები ნ.კოშორიძე და ნ.კოტრიკაძე დაინტერესდნენ, როდის გარემონტდება ბიოლოგიის დეპარტამენტის დარჩენილი ოთახები. ბატონმა რამაზმა აღიშნა, რომ რემონტი გაგრძელდება მომდევნო წლებში, სან-დიეგოს უნივერსიტეტიდან თანხის შემოსვლის კვალდაკვალ. აზრი გამოთქვეს ნ.შათაშვილმა, ა.შენგელაიამ, ბ.თუთბერიძემ და სხვებმა. ბატონი ალექსანდრე დაინტერესდა, შესაძლებელი თუ იქნება სამეცნიერო აპარატურის გეგმიური შეკეთება, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო. ქალბატონი ნანა დაინტერესდა, თუ როგორ მოხდება მივლინებებისთვის გამოყოფილი თანხის განკარგვა, თუ პერსონალმა კვლავ ვერ მოახერხა სადმე გამგზავრება, არსებული ვითარებიდან გამომდინარე. ბატონმა რამაზ ხომერიკმა შენიშნა, რომ წელსაც მოხდა მივლინებების

აუთვისებელი თანხის სხვადასხვა მიზნებისთვის გამოყენება (მოხდა პროექტორების, კომპიუტერების შეძენა და სხვ.), თუმცა, ამ თანხის ბოლომდე ათვისება მაინც ვერ მოხერხდა. პროფესორმა ნ.დორეულმა წამოაყენა მობილური პროექტორების შეძენის იდეა - თუნდაც ერთის მაინც თითოეული დეპარტამენტისა ან კათედრისათვის. პროფესორმა ო.მუკბანიანმა გამოთქვა ქიმიის დეპარტამენტისთვის სხდომებისა და დაცვების ჩასატარებლად ერთი აუდიტორიის გაკეთების სურვილი, რაშიც დახმარება აღუთქვა დეკანმა. პროფესორმა ნ.დორეულმა გააჟღერა სურვილი, რომ მორჩენილი თანხა განაწილდეს პერსონალის მიერ ზეგანაკვეთურად ჩატარებულ საათებზე. აღნიშნულმა საკითხმა კამათი გამოიწვია საბჭოს წევრებს შორის. დეკანმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი ჯერჯერობით არ განიხილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი 1) საბჭოს წევრების (ნ.ელიზბარაშვილი, დ.ძიძიგური, ბ.თუთბერიძე) მოსაზრებების გათვალისწინებით.

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი – საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ. პროგრამები წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარსხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა რეაკრედიტაციაზე წარდგენილი შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: ფიზიკის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, გამოყენებითი ბიომეცნიერებების საბაკალავრო და ფიზიკის, გეოგრაფიისა და ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამები, აგრეთვე სამაგისტრო პროგრამები „გამოყენებითი ფიზიკა“, „ფუნდამენტური ფიზიკა“, „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“, „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“, „ბიოლოგია“ და „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“ (იხ. დანართები 2).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა. მან დამატებითი განმარტება გააკეთა ფიზიკის პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა რეაკრედიტაციაზე წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს რეაკრედიტაციაზე წარდგენილი შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: ფიზიკის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, გამოყენებითი ბიომეცნიერებების საბაკალავრო და ფიზიკის, გეოგრაფიისა და ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამები, აგრეთვე სამაგისტრო პროგრამები „გამოყენებითი ფიზიკა“, „ფუნდამენტური ფიზიკა“, „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“, „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“, „ბიოლოგია“ და „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“ (იხ. დანართები 2).

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს

გააცნო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **დებულებაში შესატანი ცვლილებები**, რაც განპირობებული იყო თსუ-ის ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ საშტატო განრიგში განხორციელებული ცვლილებებით.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა გ.ღვედაშვილმა, ნ.შათაშვილმა, ა.შენგელაიამ, ბ.თუთბერიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შევიდეს შემდეგი ცვლილება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში -

მუხლი 19. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

პუნქტი 3. „დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში შესაძლოა არსებობდეს შემდეგი თანამდებობები: დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მდივანი.“

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში შესაძლოა არსებობდეს შემდეგი თანამდებობები: დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი, მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (2 კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მდივანი.“

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი